პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 93 (15914)

20 აპრილი შაბათი 1974

ფასი 2 კაპ.

## დღეს — ყველანი შაბათობაზე!

20 აპრილი



კომუნისტური შაბათობის დღეა

**საბჭოთა კავშირის მოქალაქეებო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში! ავირჩიოთ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში საბჭოთა ხალხის საუკეთესო შვილები, კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის ღირსეული წარმომადგენლები!**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

# ხალხის დიდი ნდობა

**გაიმართა** ქ. მოსკოვის ფრუნზეს სახელობის ბამბეულის ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება.

— ჩვენი წინასაარჩევნო კრება, — თქვა მრთველმა, კომუნისტური შრომის დამკვრელმა ვ. ფ. ხროლმა, — მიმდინარეობს მთელი საბჭოთა ხალხის დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოიწვიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ, 1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ დადგენილებებმა. მთელმა საბჭოთა ხალხმა მოქმედების საბრძოლო პროგრამად აღიქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ყამირის ათვისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ალმა-ათაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ". ჩვენი ხალხის, პარტიის მიღწევები როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში განუყრელად არის დაკავშირებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საქმიანობასთან.

აი რატომ არის, რომ განსაკუთრებული სიხარულით ვაყენებ წინადადებას, თქვა ორატორმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ მოსკოვის სოვეტსკის საარჩევნო ოლქში დავასახელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოღვაწეობა კარგად არის ცნობილი საბჭოთა ადამიანებისათვის. იგი განასახიერებს ლენინური ტიპის ხელმძღვანელს, მტკიცე მარქსისტ-ლენინელს, რომელიც მთელ თავის ძალ-ღონეს, ენერგიას, ორგანიზატორულ ნიჭს ახმარს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეს. მთელ დედამიწაზე ლ. ი. ბრეჟნევს იცნობენ, როგორც დაუცხრომელ და თანამიმდევრულ მებრძოლს მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებისათვის. სათავეში უდგას რა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი უდიდეს ყურადღებას უთმობს ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჩვენის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებისათვის.

წინადადებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დასახელების შესახებ მხურვალედ დაუჭირა მხარი მქსოველმა ტ. გ. ერმაკოვამ. მან წინადადება წამოაყენა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ მქსოველი, სოციალისტური შრომის გმირი მარიამ სერგის ასული ივანიკოვა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მარიამ სერგის ასული დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, აქტიურად მუშაობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიაში.

მან სავსებით გაამართლა ნდობა კოლექტივისა, რომელმაც ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში დაასახელა. მ. ს. ივანიკოვა წარმატებით შრომობს წარმოებაში. ხუთწლედის სამი წლის გეგმა მან შეასრულა ვადამდე — 1973 წლის 10 ნოემბერს.

ამ წინადადებებს მხარი დაუჭირეს აგრეთვე სართავი წარმოების ჯგუფკომორგმა ვ. ნ. ზორომილოვამ, ოსტატის თანაშემწემ მ. კ. პენკოვამ, მქსოველმა ი. მ. ბარენცევამ, მრთველმა ა. ზ. პერშინამ, ფაბრიკის დირექტორმა თ. მ. პლეხანოვმა.

ერთხმად მიიღეს დადგენილება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად კავშირის საბჭოს არჩევნების სოვეტსკის საარჩევნო ოლქში დაასახელონ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი და მარიამ სერგის ასული ივანიკოვა.

პირველი სახელმწიფო საკისრის ქარხანაში გამართული კრების მონაწილეებმა უგულითადესი მადლობა გადაუხადეს სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს იმ დიდი ზრუნვისათვის, რასაც ისინი იჩენენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

კრება გახსნა პარტკომის მდივანმა პ. ზ. სოროკინმა, მან განაცხადა, რომ ქარხნის მუშებმა გულით აღიქვეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა ალმა-ათაში გამართულ საზეიმო სხდომაზე და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომლებიც მიზნად ისახავენ რუსეთის სფს რესპუბლიკის არაშავმიწანიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას. წლის დამდეგიდან სახელმწიფო საკისრის ქარხანამ „სოფლტექნიკის" ბაზებს გაუგზავნა რამდენიმე მილიონი საკისარი — მნიშვნელოვნად მეტი, ვიდრე გეგმით იყო განსაზღვრული.

სიტყვას ამბობს № 1 ბურთულიანი საკისრების საამქროს ზეინკალი ვ. მ. მიხეევი. საწარმოს კოლექტივის სახელით მან წამოაყენა წინადადება, რომ ქალაქ მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნი. ამ წინადადებას კრების მონაწილენი მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

— ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნი მუშის ოჯახიდანაა გამოსული, — თქვა ვ. მ. მიხეევმა, — მან განვლო დიდი და სახელოვანი გზა მუშიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემდე. პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ყველა პოსტზე ამხანაგი პოდგორნი მთელ ძალ-ღონესა და გამოცდილებას ახმარს კომუნისტური მშენებლობის საქმისადმი თავდადებულ სამსახურს, მარქსიზმ-ლენინიზმის დიად იდეალებს. საბჭოთა ადამიანები კარგად იცნობენ ამხანაგ პოდგორნის მოღვაწეობას, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

ზეინკლის წინადადებას მხარი დაუჭირა საინსტრუმენტო საამქროს უფროსმა ა. ი. ნაზაროვმა. მან განაცხადა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე რომ არის, ნ. ვ. პოდგორნი დიდ ყურადღებას უთმობს პარტიის ხაზის განხორციელებას, რომლის მიზანია სოციალისტური დემოკრატიის განვითარება და ჩვენი საერთო სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცება.

— შემომაქვს წინადადება, — განაგრძო ა. ი. ნაზაროვმა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ ჩვენი ქარხნის აღზრდილი, ახალი ტექნიკის უბნის ზეინკალთა ბრიგადირი ალექსი ვასილის ძე ვიქტოროვი.

დიდი ოქტომბრის თანატოლ ზეინკალ ა. ვ. ვიქტოროვზე ბევრი კარგი სიტყვა თქვეს მისმა ამხანაგებმა — გორგოლაჭოვანი საკისრის საამქროს მეხაზემ ტ. პ. ბუზინამ, ახალი ტექნიკის უბნის ახალგაზრდა გამმართველმა ო. მ. ცვეტკოვამ. შესანიშნავ ზეინკალს, ნიჭიერ რაციონალიზატორს ა. ვ. ვიქტოროვს ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის, მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიღწევისათვის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

გამომსვლელებმა ილაპარაკეს იმ დიდ პარტიულ და სახელმწიფო მუშაობაზე, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ა. ვ. ვიქტოროვი ეწევა. იგი ბევრ დროსა და ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობის აღზრდას. მისმა მოწაფეებმა დღეს დიდ წარმატებებს მიაღწიეს შრომაში. პირველი სახელმწიფო საკისრის ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირი არჩეულია მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რუსეთის სფსრ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ.

კრებაზე გამოვიდა პირველი სახელმწიფო საკისრის ქარხნის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ი. გრომოვი. მან მხარი დაუჭირა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ამხანაგების ნ. ვ. პოდგორნისა და ა. ვ. ვიქტოროვის დასახელებას.

კრების მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ქალაქ მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქში დაასახელონ ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნი და ალექსი ვასილის-ძე ვიქტოროვი.

(დასასრული მე-2 გვ.).

# ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის კომუნიკე

**1974 წლის 17-18 აპრილს ვარშავაში გაიმართა ვარშავის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი.**

თათბირში მონაწილეობდნენ:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკიდან — ტოდორ ჟივკოვი — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, დელეგაციის მეთაური; სტანკო ტოდოროვი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; კონსტანტინე ტელალოვი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; პეტრე მლადენოვი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი; ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; მილკო ბალევი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კაბინეტის დირექტორი;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკიდან — იანოშ კადარი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დელეგაციის მეთაური, ენე ფოკი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ფრიდიეშ პუია — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან — ერიხ ჰონეკერი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დელეგაციის მეთაური; ვილი შტოფი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე; ჰორსტ ზინდერმანი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ჰერმან აქსენი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ოსკარ ფიშერი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი; პაულ მარკოვსკი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკიდან — ედვარდ გერეკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დელეგაციის მეთაური; ჰენრიკ იაბლონსკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე; პეტრე იაროშევიჩი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; სტეფან ოლშოვსკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; რიშარდ ფრელეკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგე;

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკიდან — ნიკოლაე ჩაუშესკუ — რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი, დელეგაციის მეთაური; მანია მენესკუ — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი; შტეფან ანდრეი — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ჯორჯე მაკოვესკუ — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; მირჩა მალიცა — რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩეველი; მიტია კონსტანტინი — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩეველი;

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან — ლ. ი. ბრეჟნევი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, დელეგაციის მეთაური; ა. ნ. კოსიგინი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ა. ა. გრომიკო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი; კ. თ. კატუშევი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; კ. ვ. რუსაკოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე; ა. მ. ალექსანდროვი — სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე;

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან — გუსტავ ჰუსაკი — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, დელეგაციის მეთაური; ლუბომირ შტროუგალი — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე; ვასილ ბილიაკი — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ბოგუსლავ ჰნოუპეკი — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; ანტონინ ვავრუში — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო პოლიტიკის განყოფილების გამგე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ე. იაკუბოვსკი და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის გენერალური მდივანი ნ. პ. ფირიუბინი.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მონაწილეებმა განიხილეს ევროპის უშიშროების განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების აქტუალური საკითხები.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მონაწილენი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ დაძაბულობის შენელების ტენდენცია ამჟამად ევროპის კონტინენტზე და მთლიანად მსოფლიოში მდგომარეობის განვითარების მთავარი ნიშანია. საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკაში სულ უფრო ფართოდ მკვიდრდება სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, საერთაშორისო ურთიერთობის ისეთი ძირითადი ნორმები, როგორიც არის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის, თანასწორუფლებიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, ევროპაში შექმნილი სახელმწიფოთა საზღვრების ურღვევობის პატივისცემა, ძალის გამოყენებასა და ძალის გამოყენებით დამუქრებაზე უარისთქმა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა. დაძაბულობის შენელებამ გადამწყვეტწილად განსაზღვრა ვიეტნამსა და ლაოსში, სამხრეთ აზიის სუბკონტინენტზე, ახლო აღმოსავლეთში საკონფლიქტო სიტუაციების გადაჭრის პოლიტიკურ სფეროში გადატანა, იგი ხელშემწყობ პირობებს უქმნის ხალხთა ბრძოლას თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და პროგრესისათვის.

ამასთანავე პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მონაწილენი აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეებს, „ცივი ომის" ქომაგებს, იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალებს იარაღი არ დაუყრიათ. ცდილობენ წინააღუდგნენ დაძაბულობის შენელების პროცესს, შეაფერხონ ეს პროცესი, რომელიც ხალხთა მისწრაფებებს შეესაბამება. მილიტარისტული წრეები ისწრაფვიან გააქტიურონ ნატო. კვლავ იზრდება ამ დახშული იმპერიალისტური სამხედრო ბლოკის ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტები.

მაგრამ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ მსოფლიოს ხალხები, მთელი პროგრესული, დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური, მშვიდობისმოყვარე ძალები შეკავშირებული მოქმედებით შეძლებენ მოიპოვონ გამარჯვება და დაიცვან თავიანთი ძირეული ინტერესები, უზრუნველყონ თვითეული ხალხის იმ უფლების პატივისცემა, რომ თვითონ განაგებდეს საკუთარ ბედს.

სოციალისტური ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის კონსტრუქციულმა საგარეო-პოლიტიკურმა საქმიანობამ, განსაკუთრებით მთელ რიგ ცნობილ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა დადებამ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ხელი შეუწყო ვითარების ნორმალიზაციას ევროპაში, კეთილმეზობლობის დამყარებასა და მრავალმხრივ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაფართოებას ყველა სახელმწიფოს შორის.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მონაწილენი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ევროპაში დაძაბულობის შენელების გზით წინსვლას მოჰყვა უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა, რომელიც ევროპის ქვეყნების ყველა ხალხისა და მთავრობის საერთო საქმედ იქცა.

სრულიად ევროპის თათბირი მოწოდებულია გადააქციოს ევროპა ყველა სახელმწიფოს ნამდვილად თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის რაიონად, განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათ შორის ნდობის ზრდას. თავისი გადაწყვეტილებებით მან უნდა განსაზღვროს სახელმწიფოთა ურთიერთობის პრინციპები და მათი დაცვის ღონისძიებანი, რომელთა გამოყენება საიმედოდ უზრუნველყოფდა ევროპის ყველა ხალხის უშიშროებას, ხელშემწყობ შესაძლებლობებს შეუქმნიდა გრძელვადიან ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ თანამშრომლობას, ინფორმაციის გაცვლას, კონტაქტების დამყარებას დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და მოქალაქეთა შორის, ყველა ქვეყნის ღონისძიებათა გაერთიანებას ადამიანის გარემომცველი გარემოს დაცვის პრობლემების გადაწყვეტაში. თათბირის წარმატებით დაგვირგვინება დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება ევროპის მშვიდობიანი მომავლის უზრუნველყოფის გზაზე.

იმის ცდები, რომ შექმნან ხელოვნური დაბრკოლებანი, გააჭიანურონ სრულიად ევროპის თათბირის მუშაობა, აცდინონ იგი მის წინაშე მდგომი ძირეული ამოცანების გადაწყვეტას, ეწინააღმდეგება მაღალ მიზნებს, რომელთა მისაღწევად მოწვეულია ეს თათბირი.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილენი სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებს მოუწოდებენ თავიანთი მეცადინეობა იქითკენ წარმართონ, რომ წარმატებით დამთავრდეს სრულიად ევროპის თათბირი, კიდევ უფრო განვითარდეს და გაღრმავდეს დაძაბულობის შენელების პროცესი და მოწესრიგდეს ვითარება ევროპაში.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მონაწილენი კვლავ ადასტურებენ თავიანთ იმ აზრს, რომ მიზანშეწონილია მოეწყოს სრულიად ევროპის თათბირის დასკვნითი ეტაპი და ხელმოწერილ

(დასასრული მე-2 გვ).

# დიადი თაოსნობის ნაპერწკლიდან

**„1919 წლის 17 მაისს ალექსანდრეს რკინიგზაზე შედგა პირველი კომუნისტური „შაბათობა". 98 კომუნისტმა და თანაგრძნობმა, თანახმად საერთო კრების დადგენილებისა, ზედმეტად იმუშავა 5 საათი უსასყიდლოდ..."**

ვ. ი. ლენინმა ამ შაბათობას მაღალი შეფასება მისცა და მას მიუძღვნა თავისი უკვდავი ნაშრომი „დიადი თაოსნობა". მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო, მაგრამ როცა ამ ნაშრომს კითხულობთ, ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით იმაში, თუ ბელადის წინასწარჭვრეტა რამდენად მტკიცე მემკვიდრეობითობაა საბჭოთა ადამიანების თაობებს შორის.

ყოველწლიურად, როგორც წესი, ჩვენი დიადი ქვეყნის საწარმოთა კოლექტივები, სახალხო მეურნეობის ყველა უბანი ემზადება კომუნისტური შაბათობისათვის და მას უძღვნიან დიდი ბელადის დაბადების წლისთავს.

ეს მზადება, როგორც წესი, მიმდინარეობს ლოზუნგით — **„შაბათობის დღეს ვიმუშაოთ დამკვრელურად, გამოვუშვათ იმაზე მეტი პროდუქცია, ვიდრე ჩვეულებრივ სამუშაო დღეს".**

„კომუნისტური მშენებლობა წარმოშობს შრომის ჭეშმარიტ გმირებს, — თქვა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის 50 წლისთავის შესახებ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, — ისინი გვიჩვენებენ მაღალი შეგნებულობის ხიბლურ ნიმუშს, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითს".

სწორედ ასეთი მაღალი შეგნებულობით არის ნაკარნახევი წლევანდელი შაბათობა, რომლისთვისაც მოემზადა თვითეული შრომითი კოლექტივი. რესპუბლიკის მრავალმა საწარმომ დამკვრელურად გამოაცხადა შაბათობისათვის მზადების დღეები და ვალდებულება იკისრა ოთხი თვის გეგმის შესრულება სამშობლოს 20 აპრილისათვის უპატაკოს. ბევრმა კი აღუთქვა, რომ კომუნისტური შაბათობის დღეს იმუშავებს დაზოგილი მასალებით და გამომუშავებულ თანხას ხუთწლედის ფონდში გადარიცხავს.

დღეს საქართველოს სამრეწველო საწარმოები, მშენებლები, რკინიგზელები, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია შეუდგნენ შედგენილი გრაფიკების მიხედვით შრომას... დარწმუნებული ვართ, რომ ადგილებიდან მივიღებთ სასიხარულო შრომით ცნობებს, პატაკებს იმის შესახებ, რომ შრომის დღესასწაულზე ყველაფერი გაკეთდა ზუსტად შედგენილი გრაფიკის მიხედვით.

# შაბათობა გვიხმობს

**გვესაუბრება თბილისის კომუნისტური შაბათობის მომწყობი საქალაქო შტაბის ხელმძღვანელი, საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი თ. მენთეშაშვილი.**

**ყოველთვის,** როცა შაბათობის შესახვედრად ემზადებიან, თბილისელი მშრომელები აჩაღებენ შეჯიბრებას ყოველდღიური, დეკადური და თვის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. ამჯერადაც ასე იყო. ჯერ კიდევ პირველი კვარტალის დამთავრებამდე გაიშალა შეჯიბრება შაბათობის ღირსეულად შეხვედრისათვის. ჭეშმარიტად დამკვრელური იყო კვარტალის დღეები და შედეგიც სასიხარულოა — თბილისელი მშრომელები მაღალი მაჩვენებლებით ეგებებიან შაბათობის დღეს, უპატაკებენ, რომ ორი დღით ადრე გაანაღდეს პროდუქციის რეალიზაციის წლის პირველი სამი თვის სახელმწიფო დავალება, რეალიზებულია 10 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, გეგმის ზევით საექსპლოატაციოდ გადაცემულია 3 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

დედაქალაქის ყველა რაიონში, მსხვილ თუ მცირე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შექმნილმა შტაბებმა, რომლებიც შაბათობისათვის მზადებას უდგნენ სათავეში, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ თვითეულ კოლექტივს ჰქონოდა პირადი, კონკრეტული დავალება, სამუშაო ობიექტი. პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა ფართოდ გაშალეს ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა შაბათობაში მშრომელთა მასობრივი მონაწილეობისათვის.

წლევანდელ შაბათობას ექნება ერთი მეტად მნიშვნელოვანი დევიზი, რომელიც დედაქალაქის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივით გავრცელდა: „შაბათობაზე ყველა კოლექტივმა უკლებლივ შეასრულოს დღიური დავალება, არც ერთი ჩამორჩენილი არ უნდა იქნეს ჩვენს გვერდით".

ამ საერთო ენთუზიაზმს, რაიონებისა და ცალკეული კოლექტივების მზადყოფნას რომ ვითვალისწინებთ, წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შარშანდელთან შედარებით უფრო უკეთესი იქნება შაბათობის შედეგები. წინასწარი მონაცემებით მასში **მონაწილეობას მიიღებს 400 ათასი თბილისელი, რომლებიც გამოუშვებენ 5 მილიონამდე მანეთის პროდუქციას და ხუთწლედის ფონდს შემატებენ 410 ათას მანეთს.**

შაბათობისათვის მზადების დღეებში გაჩაღდა შეჯიბრება დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით ამ დღეს მუშაობისათვის. სასიხარულოა, რომ ამ შეჯიბრებაში 20 საწარმო ჩაება და დაზოგილი ნედლეულით მუშაობა გადაწყვიტა, ხოლო 28 საწარმოს კოლექტივებმა იკისრეს 20 აპრილს თვის გეგმა გაანაღდონ. ოთხი თვის გეგმების შესრულებას გვპირდებიან აგრეთვე ქალაქის 9 სამშენებლო ობიექტის მშენებლები. **შაბათობაზე დაირგვება დაახლოებით 50 ათასი ძირი ხე და ბუჩქი, მოგროვდება 1.000 ტონა ლითონის ჯართი.**

ხვალ თითქმის ყველა შრომისუნარიანი თბილისელი შაბათობაზე იქნება. ამ შრომით დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკები, მოსწავლეები, აგრეთვე დიასახლისები და პენსიონერები. ერთი სიტყვით, ყველაფერი მზად არის, თბილისელებს შაბათობა უხმობს.

# საბჭოთა დელეგაცია ვარშავიდან დაბრუნდა

**19 აპრილს** ვარშავიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მუშაობაში.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი (დელეგაციის მეთაური), სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი.

ბელორუსიის ვაგზალში დელეგაციას დახვდნენ ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრეჩკო, ვ. ვ. გრიშინი, თ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები პ. ი. აბრასიმოვი, გ. პ. ბეჩჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ვ. ე. ცუკანოვი, კ. უ. ჩერნენკო, ნ. ა. შჩოლოკოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები ა. კ. გორჩაკოვი, ო. ბ. რახმანინი, მ. ს. სმირტიუკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ვ. ა. გოლიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველის პირველი მოადგილე მ. ა. კუზმინი.

დამხვდურთა შორის იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ზ. ნოვაკი.

(ტასსი).

# ხალხის დიდი ნდობა

(დასასრული)

### მოსკოვის ოლქი

### ლენინგრადი

# დეპუტატობის ღირსეული კანდიდატები



ხურათზე: თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი. ფ. კრიმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

...რის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთი კანდიდატი.

შესვენებაზე ქარხნის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მუშები და მოსამსახურეები შეიკრიბნენ საწარმოს სადღესასწაულოდ მორთულ კლუბში, სადაც გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს...

...კოლექტივში დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობს, არამედ ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. წინა არჩევნების დროს იგი იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რაი...

...თლად შეასრულონ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

სიტყვას იღებს მკერავი გ. სოლაგაძე. საწარმოს კოლექტივის სახელით მან წამოაყენა წინადადება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კა...

# 20 აპრილი



# კომუნისტური შაბათობის დღეა

ყველანი შაბათობაზე!

## შაბათობის ინიციატორებთან

ახლახან მოსკოვის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში ჩატარდა დედაქალაქის იმ სამრეწველო კოლექტივებისა და ორგანიზაციების მოწინავე მუშებისა და ნოვატორების შეკრება, რომლებიც იყვნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 104 წლისთავისადმი მიძღვნილი შაბათობის მოწყობის ინიციატორები.

როგორ ფიქრობენ ისინი შაბათობის ჩატარებას? — ამ კითხვით მიმართა მათ ჩვენმა მოსკოველმა კორესპონდენტმა დ. მაჭავარიანმა.

ა. ლებედევი, „მოსკვა-სორტიროვოჩნაიას“ დეპოს მემანქანე: დღეს დილით დეპოს პარტკომში შევიარე, რომ გამეგო ის გეგმა, რომელიც კომუნისტურ შაბათობაზე უნდა შესრულდეს. ფაქტიურად ყველაფერი მზად არის „წითელი შაბათობის“ წარმატებით ჩასატარებლად. ყაირათიანი მუშაობით დაზოგილი გვაქვს იმდენი ელექტროენერგია, საწვავი და სხვა მასალა, რომ ჩვენი კოლექტივის გამარჯვება შრომის დიდ დღესასწაულზე ეჭვს არ იწვევს. გვინდა ტვირთის გადაზიდვის მოცულობა გავზარდოთ 5 მილიონი ტონა-კილომეტრით. ეს იმას ნიშნავს, რომ მემანქანეები წელს გაცილებით მეტი მძიმე შემადგენლობის მატარებლებს გადაიყვანენ, ვიდრე შარშან.

ნ. ალექსანდროვი, ტრესტ „მოსხიმათმშენის“ მემონტაჟეების ბრიგადირი: კომუნისტურ შაბათობამდე ყოველი დღე, თვითეული საათი აღრიცხვაზე გვქონდა აყვანილი, ჩვენ კარგად გვესმის, რომ 20 აპრილი არა მარტო დამკვრელური დღეა, არამედ დიდი დღესასწაულიც არის. ჩვენი ტრესტის სამშენებლო მოედნებზე 2.000 კაცზე მეტი იმუშავებს. უნდა შესრულდეს 92.000 მანეთის მოცულობის სამუშაოები.

მ. ზორინა, საგზაო მეურნეობის და კეთილმოწყობის სამმართველოს მუშაკი: ვ. ი. ლენინის დაბადების დღისადმი მიძღვნილი „წითელი შაბათობები“ ჩვენთან კარგ ტრადიციად დამკვიდრდა. ყოველი ჩვენგანი ენთუზიაზმით მიიღებს მონაწილეობას ამ დიდ დღესასწაულში.

ამ დღეს საგზაო ბრიგადები მოსკოვის 230 სხვადასხვა დასახლების ქუჩებში იმუშავებენ. ჩვენი ამოცანაა 45.000 კვადრატული მეტრი ასფალტი დავაგოთ და შევაკეთოთ, დავრგოთ 3 ათასი მწვანე ხე, 30.000 ბუჩქი.

• • •



სურათზე: ლეგენდარული ორთქლმავალი — OB-7024, რომელიც 1919 წლის 12 აპრილს შეაკეთეს „მოსკვა-სორტიროვოჩნაიას“ დეპოში.

## შრომითი აქტივობით

ქუთაისი. აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივის 2000 წევრი გამოვა შაბათობაზე და გამოუშვებს 28 ათასი მანეთის პროდუქციას. ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 1.500 მანეთი.

საწარმოო გაერთიანების მმართველობის მოსამსახურენი და ტექნიკური მუშაკები იმუშავებენ საწარმოს საამქროების, ტერიტორიის, მიმდებარე ქუჩების დასუფთავებასა და გამწვანებაზე.

ივ. ბუხაიძე.

## ერთი დღის ბარაქა

შაბათობისათვის მზადების ღონისძიებებზე გვესაუბრება თბილისის ერთ-ერთი უძველესი საწარმოს — ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსი აპოლონ მახარაშვილი

ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად შაბათობაზე გამოვა ჩვენი ქარხნის კოლექტივიც. ვეტერანთა გვარდიის წარმომადგენლები სიმბოლურად გახსნიან ჩვენი კოლექტივის ამ შრომით ზეიმს.

შაბათობის მომწყობმა კომისიამ ცოტა სამუშაო როდი გასწია, რომ ეს გეგმები ადგილებზე ყველასათვის გაეცნო და შესრულების შესაბამისი დასტური მიეღო, რადგან, კომისიას რაც უნდა კარგად სცოდნოდა საწარმოო რგოლების შესაძლებლობანი, ყველა ნიუანსს მაინც ვერ გაითვალისწინებდა.

ცხადია, ამ მზადებას წარმოების ყველა რგოლში თან სდევდა დევიზი: საქმებით მომზადებული შევხვდეთ ლენინური შაბათობის დღეს და ვიშრომოთ უკეთ, ვიდრე შარშანდელი შაბათობის დღეს. დევიზის ამ შინაარსმა თავისი გამოხატულება ჰპოვა როგორც უბნების კონკრეტულ გეგმებში, ისე საერთო საქარხნო ვალდებულებებშიც, რომლებიც შარშანდელთან შედარებით ბევრად გადიდებულია.

შაბათობის დღეს სამუშაოდ გამოვა 1.400 კაცი. ელექტროვაგონშემკეთებელთა ეს არმია ძირითად სამუშაოს შესრულებასთან ერთად შეაგროვებს ჯართს, გაამწვანებს ქარხნის ტერიტორიას, დაასუფთავებს ეზო-მიდამოს, საამქროთა კორპუსებს, წესრიგში მოიყვანს დანადგარ-მოწყობილობას. სულ გამოშვებული იქნება 21 ათასი მანეთის პროდუქცია, ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 2.800 მანეთი.

გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს მოტორვაგონიანი სექციების, სამჭედლო, მექანიკური და ელექტროსამანქანო საამქროთა კოლექტივებმა, რომლებსაც ვ. ამანათიძე, დ. ჯიქია, ბ. ჩხეიძე, ჯ. ერაძე ხელმძღვანელობენ.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ყოველ ბრიგადაში, უბანზე თუ საამქროში ეს ვალდებულებები მეტად შეგნებულად, ენთუზიაზმით არის ნაკისრი, რაც, ცხადია, რეალურს ხდის მათს შესრულებას.

## გ. კიკნაძე



გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორი, ვაჟა-ფშაველას კაბინეტის ხელმძღვანელი გრიგოლ კონსტანტინეს-ძე კიკნაძე.

გ. კიკნაძე დაიბადა 1909 წ. ქ. ხაშურში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1929 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1930-1935 წლებში გრ. კიკნაძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ფოთსა და ბათუმში, 1935 წლიდან პედაგოგიკის ინსტიტუტის ასპირანტია. 1938 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იმავე წლიდან კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1962 წელს მან დაიკავა პროფესორის თანამდებობა ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე.

გრ. კიკნაძე დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვს გრ. კიკნაძის მეცნიერულ შრომებს, კერძოდ, ფუნდამენტურ მონოგრაფიებსა და გამოკვლევებს „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“, „მეტყველების სტილის საკითხები“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „რომანტიკოსებიდან რეალისტებისაკენ“ და სხვ. მის მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში უმთავრეს თემას მაინც ვაჟა-ფშაველას შემოქმედება წარმოადგენდა. თავისი გამოკვლევებით ვაჟა-ფშაველას შესახებ, განსაკუთრებით მონოგრაფიით „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, გრ. კიკნაძემ მაღალი საფეხური შექმნა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

გრ. კიკნაძის თაოსნობით 1962 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ვაჟა-ფშაველას კაბინეტი. მან თავის გარშემო შემოიკრიბა საუკეთესო სპეციალისტები, რომელთა მონაწილეობით მოამზადა და გამოსცა მრავალი საყურადღებო მეცნიერულ-მეთოდური ხასიათის კომპლექსური გამოკვლევა. მათ შორის აღსანიშნავია „ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული“, „ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“, „ვაჟას კრებული“, „ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“, „ვაჟა-ფშაველას მეორე ლექსიკონი“ და სხვ.

ნაყოფიერი აღმზრდელობითი საქმიანობის გარდა ძალზე საყურადღებოა აგრეთვე გრ. კიკნაძის მთელი რიგი თეორიულ-პედაგოგიური ნაშრომები.

გრ. კიკნაძეს საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდა აგრეთვე ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში, რაც მან უშუალოდ შეითვისა თავისი მასწავლებლის დიმიტრი უზნაძისაგან. ეს კარგად გამოჩნდა მის ნაშრომებში „მეტყველების სტილის საკითხები“, „ვაჟა-ფშაველა ზიგმუნდ ფროიდის წინააღმდეგ“ და სხვ.

გრიგოლ კიკნაძის ხსოვნა წარუშლელი დარჩება მისი კოლეგების, მოწაფეების, სტუდენტი-ახალგაზრდობის გულში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილება; შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი.

## „განსაკუთრებით კარგი“

### ე. კენედი საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ

დემოკრატმა სენატორმა მასაჩუსეტსის შტატისაგან ედვარდ კენედიმ „განსაკუთრებით კარგი“ უწოდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ურთიერთობის განვითარების პერსპექტივებს.

იგი მოსკოვში ჩამოვიდა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოწვევით. „მე აქ იმიტომ ვარ, რომ მწამს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კარგი ურთიერთობის ძალიან დიდი მნიშვნელობა“, — განაცხადა ამერიკელმა სენატორმა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში.

სტუმარმა ხაზი გაუსვა, რომ ორი ქვეყნის სოციალური სისტემების განსხვავება არ წარმოადგენს დაბრკოლებას ურთიერთხელსაყრელი კონტაქტებისა და თანამშრომლობის დამყარებისათვის“. „ახლა შეიქმნა ყველა პირობა, — თქვა მან, — იმისათვის, რომ გამოვნახოთ საერთო ენა ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნების კეთილშობილურ საქმეში“.

საბჭოთა ხელმძღვანელები, ისე როგორც ბევრი ჩვენი ხელმძღვანელი, ესწრაფვიან ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ურთიერთობის განვითარებას, ხაზი გაუსვა კენედიმ. ამ ურთიერთმისწრაფების გამო ზოგიერთნი, ვინც ჩვენი ურთიერთობის ნორმალიზაციის წინააღმდეგ გამოდიან, იძულებული არიან თავი შეიკავონ, დასძინა მან.

ორი ქვეყნის კარგ ურთიერთობას დასაბამი მიეცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის მოსკოვში და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ბრეჟნევის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს, რის შედეგად დაიდო ფრიად მნიშვნელოვანი შეთანხმებანი, თქვა კენედიმ.

## უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 19 აპრილი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო 18 აპრილს მესამედ შეიკრიბა მიმდინარე კვირაში. იგი იხილავდა ლიბანის საჩივარს ისრაელის აგრესიის აღმაშფოთებელი აქტის გამო, რომელმაც 12 აპრილს ღამით შეიარაღებული თავდასხმა მოაწყო ლიბანის მთელ რიგ სოფლებზე. ამ თავდასხმის დროს დახოცეს ორი კაცი, ათობით ლიბანელი წაიყვანეს ისრაელში მძევლებად, დაანგრიეს მშვიდობიან გლეხთა სახლები.

თელ-ავივის ხელმძღვანელთა მეკობრული პრაქტიკა დაგმეს უკლებლივ ყველა გამოსვლაში. ისრაელის ტერორი გულისწყრომით დაგმო ბელორუსიის სს რესპუბლიკის წარმომადგენელმა.

მაღალი შეფასება მისცა რა ეგვიპტე-ისრაელის სექტორში ძალების დაშორიშორებას, რაც მიღწეულია ჟენევის საზავო კონფერენციის დახმარებით, ბელორუსიის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ მას უნდა დაემატოს ყოვლისმომცველი მოწესრიგება ყველა ოკუპირებული ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების გაყვანისა და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებათა უზრუნველყოფის საფუძველზე.

შემდგომი სხდომის თარიღს გამოაცხადებენ უშიშროების საბჭოს წევრთა კონსულტაციების შემდეგ.

## ამბები • ფაქტები

საქდესის და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

## მთავრობის წევრები სამართალში

ადის-აბება, 19 აპრილი. (საქდესი). ეთიოპიის მთავრობას განზრახული აქვს სამართალში მისცეს უწინდელი მთავრობის სამი წევრი და სახელმწიფო მოხამსახურეები, რომლებიც გარეული იყვნენ კორუფციაში და თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებდნენ პირადი მიზნებით, ეს განაცხადა ეთიოპიის პრემიერ-მინისტრმა ენდელკაჩეუ მაკონენმა, რომელიც აქ გამოვიდა ქვეყნის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა წინაშე. ამასთან მან აღნიშნა, რომ სამართალში მისცემენ უწინდელი მთავრობის მხოლოდ იმ მოღვაწეებს, რომელთა დანაშაულს იურიდიულად დაამტკიცებს კორუფციის ფაქტების გამომძიებელი კომისია.

## უწესივრობანი „მარინერ-10“ სადგურში

ნიუ-იორკი, 19 აპრილი. (საქდესი). უწესივრობანი წარმოიშვა ამერიკის ავტომატურ საპლანეტათაშორისო „მარინერ-10“ სადგურში, რომელიც ამჟამად პლანეტა მერკურის რაიონში მიფრინავს. პასადენის (კალიფორნიის შტატი) რეაქტიულ ძრავათა ლაბორატორიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ავარია მოხდა ინფორმაციის შეგროვების სისტემაში და შეეხო ხომალდის 136 ტელემეტრიული არხიდან 68 არხს, რომლებსაც დედამიწაზე ინფორმაციის გადმოსაცემად იყენებენ.

მეცნიერის სიტყვით, წამოჭრილმა „სერიოზულმა პრობლემამ“ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს „მარინერ-10“ სადგურის მისიის დარჩენილი ნაწილი. როგორც ცნობილია, სადგურმა ერთხელ უკვე ჩაუფრინა მერკურის, და მეცნიერები აპირებდნენ მაისში განეხორციელებინათ ხომალდის ტრაექტორიის კორექცია, რათა იგი ერთხელ კიდევ მიახლოებოდა მერკურის სამეცნიერო ინფორმაციის შეგროვების მიზნით. თუ უწესივრობათა გამო ფრენის კორექცია ვერ მოხერხდა, ხომალდი „აცდება“ პლანეტას და კოსმოსში ჩაიკარგება.



ჩრდილოეთი ირლანდია. ბავშვობა ყველასათვის ერთნაირია და მხოლოდ უფროსებზეა დამოკიდებული ის, თუ როგორ დაამახსოვრდება ადამიანს იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ბელფასტელი ბავშვები ტერორისა და ძალადობის გარემოცვაში ცხოვრობენ და ყოველ წუთს დაჭრის ან მოკვლის საფრთხე ემუქრებათ. მათ სამუდამოდ დაამახსოვრდებათ აფეთქებები ქუჩებში, ავტომატის კაკანი, დანგრეული სახლები, ჩხრეკა და თავით ფეხამდე შეიარაღებული ინგლისელი ჯარისკაცები, რომლებიც ერთი წუთითაც არ აცილებენ თითს ავტომატის სასხლეტს (სურათზე).

## კონსერვატორები არ ცხრებიან

ლონდონი, 19 აპრილი. (საქდესი). მიწის ნაკვეთებით სპეკულაციის „საქმე“, რომელიც ინგლისის პრესის კონსერვატიულმა ორგანოებმა გააჩაღეს, რომელთანაც ცდილობდნენ დაეკავშირებინათ პრემიერ-მინისტრის ჰ. ვილსონის სახელი, სულ სხვანაირად შეტრიალდა.

ამ კამპანიაში დიდი როლი შეასრულა ეგრეთ წოდებულმა „ვილსონის წერილმა“ მიწის ერთი ნაკვეთის გაყიდვის შესახებ, რომელიც თითქოს მას გაეგზავნოს უძრავი ქონების გამყიდველი აგენტის ვინმე მილენჩისათვის.

„ვილსონის წერილთან“ დაკავშირებული ამბავი ჭორია, განაცხადა მილენჩმა. მე გადავწყვიტე „გამემასხარავებინა“, სენსაციის მოყვარული ჟურნალისტები, ვაცნობე მათ წერილის შესახებ, რომელიც თითქოს მომესპოს. სინამდვილეში კი ასეთი წერილი არ არსებობდა.

## მომავალი კონგრესი ფინეთში

ჰელსინკი, 19 აპრილი. (საქდესი). მშვიდობის მომხრეთა პირველი მსოფლიო კონგრესის მოწყობისა და „ფინეთის მშვიდობის მომხრეთა“ ორგანიზაციის შექმნის 25 წლისთავის აღსანიშნავად 10-12 მაისს ჰელსინკში გაიმართება მშვიდობის ერთვნული კონგრესი.

კონგრესზე მოწვეული არიან სტუმრები სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის საბჭოთა კავშირიდან და სხვა სოციალისტური სახელმწიფოებიდან, აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა წარმომადგენლები.

## ბრანდტის მოგზაურობა

ბონი, 19 აპრილი. (საქდესი). დღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ვ. ბრანდტი ოფიციალურ სამი დღის ვიზიტით გაემგზავრა ალჟირში. ვ. ბრანდტი ოფიციალური ვიზიტით ეწვევა აგრეთვე ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკას.

ალჟირისა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში დასავლეთ გერმანიის მთავრობის მეთაურის ყოფნის პროგრამა ითვალისწინებს მოლაპარაკებას ამ სახელმწიფოთა ხელმძღვანელ მოღვაწეებთან.

## სპორტი

ჭადრაკი

### პარტია გადაიდო

ოდესა, 19 აპრილი. (საქდესის კორ.). ჭადრაკში მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის დღეისათვის დანიშნული მეოთხე პარტია ტიგრან პეტროსიანსა და ვიქტორ კორჩნოის შორის პეტროსიანის ავადმყოფობის გამო არ გამართულა.

### ყაიმი 43-ე სვლაზე

გუშინ ლენინგრადში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა სპასკისა და კარპოვის მატჩის მეოთხე პარტია. 43-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, ანგარიში თანაბარია — 1:1.

### დიდი ჰოკეი

### ფინიშის წინ

გუშინ ჰელსინკში, ჰოკეისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმართა ერთი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების აუტსაიდერები — გდრ-ისა და პოლონეთის გუნდები. დაძაბული მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3. ამრიგად, გდრ-ის გუნდი გამოვიდა ბოლო ადგილზე და გაისად უძლიერესთა ჯგუფში დაუთმობს ადგილს მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ჯგუფში გამარჯვებულ აშშ-ის ნაკრებს.

დღეს გაიმართება ორი უკანასკნელი ასპარეზობა: სსრ კავშირი-შვეცია და ჩეხოსლოვაკია-ფინეთი. საბჭოთა ჰოკეისტებს მსოფლიოს ჩემპიონის საპატიო სახელის მოსაპოვებლად ფრეც ყოფნით.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 აპრილისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | შ.-ი. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 9 | 8 | 0 | 1 | 61-17 | 16 |
| ჩეხოსლოვაკია | 9 | 7 | 0 | 2 | 53-15 | 14 |
| შვეცია | 9 | 5 | 1 | 3 | 37-21 | 11 |
| ფინეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 29-35 | 8 |
| პოლონეთი | 10 | 1 | 2 | 7 | 22-64 | 4 |
| გდრ | 10 | 1 | 1 | 8 | 21-71 | 3 |

ფეხბურთი

### სეზონი გამარჯვებით დაიწყეს

18 აპრილს გვიან ღამით მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელმაც წინა დღეს მეშახტეთა და მეტალურგთა ქალაქ ზენიცაში წლევანდელი სეზონის პირველი საერთაშორისო მატჩი იუგოსლავიის ნაკრებთან მოიგო ანგარიშით 1:0.

ეს იყო იუგოსლავიის გუნდთან ჩვენი ფეხბურთელების სათვალავით მეთოთხმეტე შეხვედრა 1952 წლიდან. საბჭოთა ნაკრებში გამოდიოდნენ: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ოლშანსკი, კაპლიჩნი, ლოვჩევი, ტროშკინი, კონკოვი, ვერემეევი, იშტოიანი, ფედოტოვი და ბლოხინი.

— ხალხით გაჭედილ სტადიონზე მატჩი საინტერესო და მწვავე გამოდგა, იგი მთელი 90 წუთის განმავლობაში შეუპოვარ ხასიათს ატარებდა — უთხრა საქდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა კ. ბესკოვმა.

— მეორე ტაიმში ვერემეევი შეცვალა კოლოტოვმა, იშტოიანი — ონიშჩენკომ, ხოლო ფედოტოვი, რომელიც დაშავდა, — ყიფიანმა, თამაშის დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე ყიფიანის ნაცვლად მინდორზე ნახევარმცველი მაჩაიძე გამოვიდა.

გოლი 50-ე წუთზე ყიფიანმა გაიტანა (და არა ბუციევსკიმ, როგორც ადრე გიუწყებოდით).

## პირველი პროგრამით

საქართველოს ტელევიზია

□ 22 აპრილი

15.45 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 17.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ის დაიბადა აპრილის თვეში“, 18.00 — ვ. ი. ლენინის დაბადების 104 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს ტრანსლაცია, შესვენების დროს — რესპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 21.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.50 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ქართული პოეზიის ლენინიანა“, 22.50 — კონცერტი — „იშვიათი ჩანაწერები“, 23.20 — ახალი ამბები.

□ 23 აპრილი

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (VI კლასელთათვის. დამოკიდებულებანი სამკუთხედის გვერდებსა და კუთხეებს შორის), 11.00 — საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობის გახსნის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან, 13.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 16.35 — ლექციები: უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად: ქართულ ენაში, 17.20 — ბიოლოგიაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „სახელოვანი მამულიშვილი“ — რ. ერისთავი, 19.05 — „საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობის დელეგატები“, 19.20 — მიმართვის საპასუხოდ — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები“, 19.45 — „საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობაზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.55 — „მუსიკის მოყვარულთათვის“, 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობის გახსნის რეპორტაჟი (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — ფერადი ტელევიზია. სპორტული ზეიმი, მიძღვნილი საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობის გახსნისადმი — ტრანსლაცია ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონიდან.

□ 24 აპრილი

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია — „კინომოგზაურობის კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ფერადი ტელევიზია — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ძველი ციხე-სიმაგრე“ I სერია, 12.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი: ქართული მხატვრული ფილმი „ყვავილი თოვლზე“ — (რუსული ვარიანტი), 16.35 — „ექიმთა დასახმარებლად“, 17.05 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა, 17.35 — კინონარკვევი, 17.45 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 18.15 — განცხადებები, 18.20 — მოსწავლეთათვის „საპაექრო“, 18.55 — „მეტი ბოსტნეული მომხმარებელს“, 19.15 — „1974 წლის ლენინური პრემიის ლაურეატები ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ცოდნა“, 20.40 — გადაცემა „ფატი გოკიელი“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „ახალგაზრდობის სოლიდარობის საერთაშორისო დღე“, 21.45 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — „სპორტული მიმოხილვა“, 23.05 — ახალი ამბები.

□ 25 აპრილი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „საბჭოთა ხასიათი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ძველი ციხე-სიმაგრე“ — II და III სერია, 12.55 — ფერადი ტელევიზია, „საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობაზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.10 — მხატვრული ფილმი „ბედი კაცისა“, 16.30 — ლექციები უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად: ქიმიაში, 17.15 — სსრკ ისტორიაში, 18.00 — განცხადებები, 18.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ცეროდენას ეკრანი“, 18.30 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „დეპუტატი და ცხოვრება“, 19.15 — 1974 წლის ლენინური პრემიის ლაურეატები მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში“



(გადმოცემა მოსკოვიდან), 19.50 — „დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ“, 20.15 — „თბილისის საკონცერტო დარბაზებში“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „მხედრული დიდება“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — ვ. ყუშიტაშვილი, 23.40 — ახალი ამბები, 23.55 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ძალოსნობაში (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის).

□ 26 აპრილი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინოპროგრამა, 11.00 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ძველი ციხე-სიმაგრე“ — IV და V სერია, 13.10 — მხიარული კინოპროგრამა ბავშვებისათვის. კინოკონცერტი, 16.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 18.00 — მოსწავლეთათვის — „ჯადოსნური სალებავი“, 18.30 — „სოციალიზმის სამყარო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „რაციონალურად ვხარჯოთ დრო“, 19.20 — რეკლამა, 19.30 — „საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობაზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.50 — სატელევიზიო ფილმი 20.15 — „პოეტი სტუდიაში“ — ო. მამფორია, 20.40 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მუსიკალური პროგრამა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — მხატვრული ფილმი — „ღრუბლები“, 00.10 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ძალოსნობაში (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის).

□ 27 აპრილი

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 11.00 — ფერადი ტელევიზია. საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობაზე — ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან, 14.00 — ფერადი ტელევიზია. კონცერტი ყრილობის დელეგატებისათვის — ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან, 17.00 — კინონარკვევი, 17.20 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა ლვოვიდან), 17.50 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.40 — მოსწავლეთათვის — კონცერტი, 19.10 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 19.25 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 20.15 — „საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობაზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე“ „დინამო“ (კიევი) — „არარატი“ (ერევანი) — II ტაიმი (კიევიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — „შენი ლაურეატები, კომკავშირო“, — კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.15 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ძალოსნობაში (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის).

□ 28 აპრილი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია მოსწავლეთათვის — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან-, 11.00 — „შევისწავლოთ რუსული ენა“, 11.45 — კინონარკვევი, 12.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 13.30 — „ჯადოსნური ეკრანი“, 13.50 — სტუდენტთა დასახმარებლად: ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 14.50 — „საჭადრაკო სკოლა“, 15.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „კინოდოკუმენტალისტის თვალით“, 16.05 — „ქმადნაფიც ქალაქთა მსოფლიო დღე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.15 — „კინოაფიშა“, 16.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ჭეშმარიტებასთან მიახლოვება“ — (ქართულ ენაზე), 17.25 — მოსწავლეთათვის — „კოცონი“ — სატელევიზიო ჟურნალი, 18.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 18.55 — ახალგაზრდა მუშის ფილარმონია“, 19.55 — სატელევიზიო ფილმი, 20.20 — „მოხმარება და მომხმარებელი“ — სატელევიზიო ჟურნალი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — კინონარკვევი, 21.20 — „მუსიკალური სუვენირები“ — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „თეატრალური პანორამა“, 23.30 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ძალოსნობაში (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის).

## ტელევიზია

20 აპრილი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინოპროგრამა, 11.30 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — მხატვრული ფილმი „გაქანება“, 13.20 — „თქვენ გიპასუხებთ საბჭოთა კავშირის ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრი ნ. ვ. ტიმოფეევი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.50 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 14.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „რა სჭირდება კიდევ ბავშვს“, (ქართულ ენაზე), 14.40 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.10 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.55 — ფერადი ტელევიზია. მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. საბჭოთა კავშირისა და შვეციის ნაკრები გუნდები (გადმოცემა ფინეთიდან), 18.30 — საკავშირო კომუნისტური შაბათობის რეპორტაჟი — (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „რევოლუციის ფერმწერი“, 19.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმის „მზიურის“ პრემიერა, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საესტრადო პანორამა, 22.00 — კინონარკვევი, 22.15 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — საკავშირო კომუნისტური შაბათობისადმი მიძღვნილი კონცერტი, 23.45 — ახალი ამბები.

## ამინდი

დღეს, 20 აპრილს, დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია წვიმა, ზოგიერთ რაიონში ელჭექი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 15-20, მთაში 10-15 გრადუსი სითბო. აღმოსავლეთ საქართველოში დღის მეორე ნახევარში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 18-23, მთაში 5-10 გრადუსი სითბო.

თბილისში ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი, ტემპერატურა 21-23 გრადუსი სითბო.

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პროსპ., 74).

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა („ა“ კლასის უმაღლესი ლიგა).

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი)

20 აპრილს (სათადარიგო შემადგენლობანი).

21 აპრილს (ძირითადი შემადგენლობანი)

მატჩების დასაწყისი 18 საათზე.

რედაქტორი დ. მეძღლიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები—99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნო — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61. პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-72-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04564 საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.